

განმარტებითი ბარათი

საკანონმდებლო პაკეტზე

ა) „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ“ საქართველო ორგანულ კანონში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე“ კანონ პროექტზე;

ბ) „საქართველოს ორგანულ კანონში „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე“ კანონის პროექტზე.

გ) „საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში“ დამატებების შეტანის შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტზე;

დ) „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ“ საქართველოს კანონ პროექტზე.

მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებები წარმოადგენენ დემოკრატიულ საზოგადოების აუცილებელ კონსტიტუციურ-სამართლებრივ ნაწილს. არჩევნის მონაწილეობით, ისინი ერთ-ერთ უმთავრეს როლს თამაშობენ ხალხს პოლიტიკური ნების ფორმირებასა და გამოხატვაში. ამდენად ბუნებრივია მათ როგორც არჩევნების დროს, ისე ყოველდღიური საქმიანობის მარეგულირებელ სამართლებრივი ნორმები იმგვარად უნდა იქნეს რეგლამენტირებული, რე უზრუნველყოს მოქალაქეთა პოლიტიკური ნების ეფექტური რეალიზაცია ე პარტიების, როგორც ქვედითი პოლიტიკური ძალების დემოკრატიულ ფუნქციონირება.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებითა და ევროპის საბჭო მხარდაჭერით, საქართველოში მოქმედი პოლიტიკური გაერთიანებებისა და მათ მუდის წარმომადგენლების მიერ შექმნილი პოლიტიკური პარტიებისა ე საარჩევნო კამპანიების დაფინანსების მონიტორინგის ჯგუფის რეკომენდაციებ შესაბამისად, მომზადდა საქართველოს ორგანული კანონის პროექტი „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ“ საქართველოს ორგანულ კანონში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე“ და „საქართველო საარჩევნო კოდექსში“ ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე“ ე საქართველოს კანონების პროექტები „საქართველოს სისხლის სამართალ კოდექსში“ დამატებების შეტანის შესახებ“ და „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში“ ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ“.

წარმოდგენილი კანონპროექტებით ხდება საარჩევნო კამპანიები დაფინანსების და მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების საქმიანობის ნორმების სრულყოფა, ასევე ახალი სამართლებრივი მექანიზმების შემოღება.

„მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ“ საქართველო ორგანული კანონის პროექტი ითვალისწინებს საფინანსო საქმიანობაზე პასუხისმგებელი თანამდებობის პირის (პირების) შემოღებას.

წარმოდგენილი კანონპროექტით ხდება პარტიის საქმიანობის გამჭვირვალობისა და საჯაროობის უზრუნველყოფა. კერძოდ, წესდება ყოველ

წლის პირველ თებერვლამდე გასული წლის საქმიანობის, წლიურ შემოსავლებთან დაკავშირებული დეტალური ინფორმაციის (საწევრო შენატანების, შემოწირულობების ოდენობის, შემოწირულობის განმახორციელებელი ფიზიკური და იურიდიული პირების თაობაზე მონაცემების, სახელმწიფოს მიერ გამოყოფილი, აგრეთვე საგამომცემლო და პარტიის მიერ სხვადასხვა ღონისძიებების მოწყობით მიღებული თანხების, კუთვნილი შენობა-ნაგებობების, ავტოსატრანსპორტო საშუალებების რაოდენობისა და სახეობების, მათი საერთო ღირებულების, საბანკო დაწესებულებაში რიცხული თანხების ოდენობის) ბეჭდვით ორგანოში გამოქვეყნებისა და საგადასახადო ორგანოებში წარდგენის ვალდებულება.

პარტიის ფინანსური საქმიანობის მარეგულირებელი ნორმების დახვეწასა და საქართველოს საარჩევნო კოდექსთან შესაბამისობაში მოყვანას ემსახურება კანონპროექტის მე-7 პუნქტით წარმოდგენილი ცვლილება, რომლის მიხედვითაც, ამომწურავად განისაზღვრება იმ სუბიექტთა წრე, რომელთაგან პარტიას ეკრძალება ფინანსური და მატერიალური შემოწირულობების მიღება.

საქართველოს ორგანულ კანონში „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე“ კანონპროექტი ითვალისწინებს 2005 წლიდან საარჩევნო სუბიექტების მიერ არჩევნებისათვის გამოყენებული სახსრების ანგარიშების მონიტორინგის მიზნით საქართველოს ცენტრალურ საარჩევნო კომისიასთან ფინანსური მონიტორინგის ჯგუფის შექმნას. კანონპროექტის მე-3 პუნქტით ხდება ანონიმური შემოწირულობის განმარტება.

კანონპროექტით იცვლება იმ პირთა ნუსხა, რომელთაც ვეალებათ საარჩევნო კამპანიის ფონდის გახსნა.

საარჩევნო სუბიექტებს ვეალებათ საარჩევნო კამპანიის ფონდის გახსნიდან ყოველკვირეულად შესაბამის საარჩევნო კომისიას აცნობონ შემოწირულობის წყარო, ოდენობა და მიღების თარიღი. ხოლო ტელერადიოკამპანიებმა და გაზეთებმა შესაბამის საარჩევნო კომისიას ყოველკვირეულად გადასცენ ინფორმაცია პოლიტიკური რეკლამის სფეროში გაწეულ მომსახურებაზე.

„საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ“ კანონპროექტის შესაბამისად საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსს ემატება ახალი 173¹⁰-ე, 173¹¹-ე, 174⁸-174¹⁴ მუხლები, რომელთა მიხედვითაც ადმინისტრაციულ სამართალდარღვევად მიიჩნევა მოქალაქეთა პოლიტიკურ გაერთიანებაში, ასევე საარჩევნო სუბიექტის მიერ საამისოდ უფლებამოსილი პირის მიერ კანონით აკრძალული ფინანსური ან/და მატერიალური შემოწირულობის მიღება ან/და შემოწირულობის თაობაზე ინფორმაციის დამალვა, ასევე პოლიტიკური გაერთიანების საფინანსო დეკლარაციის და საარჩევნო კამპანიის ფონდის ფინანსური ანგარიშის წარდგენისა და გამოქვეყნების კანონით დადგენილი ვალდებულების შეუსრულებლობა, ამორჩევლის მოსყიდვა, თანამდებობის ავტორიტეტის მიზნით გამოყენება და სხვ.

„საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში“ დამატებების შეტანის შესახებ“ კანონპროექტის შესაბამისად საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსს ემატება ახალი 355¹-ე – 355⁵-ე მუხლები, რომლის მიხედვითაც ადმინისტრაციულ სამართალდარღვევად მიიჩნევა მოქალაქეთა პოლიტიკურ გაერთიანებაში, ასევე საარჩევნო სუბიექტის მიერ საამისოდ უფლებამოსილი

პირის კანონით აკრძალული ფინანსური ან მატერიალური შემოწირულობის მიღება ან/და შემოწირულობის თაობაზე ინფორმაციის დამალვა, ასევე პოლიტიკური გაერთიანების საფინანსო დეკლარაციის და საარჩევნო კამპანიის ფონდის ფინანსური ანგარიშის განზრახ არასრული და არასწორი ფორმით წარდგენა, ამორჩევლის მოსყიდვა, საარჩევნო დოკუმენტაციის გაყალბება და სხვ. წარმოდგენილი კანონპროექტების მიღება არ გამოიწვევს პიუჯეტის დამატებით ხარჯებს.